

ვერცხლისწყლის(II) იოდიდის კოორდინაციული ნაერთები ბისარსონიუმის მარილებთან

ანი მიმინოშვილი, ნინო რობაქიძე, მაია რუსია

ani.miminoshvili519@ens.tsu.edu.ge

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქიმიის დეპარტამენტი, ზოგადი, არაორგანული და მეტალორგანული ქიმიის კათედრა

ილა ჭავჭავაძის გამზირი 3, 0179, თბილისი, საქართველო.

საბაკალავრო ნაშრომის მიზანს შეადგენდა ბისარსონიუმის მარილებიდან ვერცხლისწყლის იოდიდის კოორდინაციული ნაერთების სინთეზი და გარდაქმნების შესწავლა. სინთეზირებულ ნივთიერებათა შედგენილობა დადგენილი იქნა ელემენტური ანალიზით, გაზომილი იქნა აგრეთვე მათი მოლური ელექტროგამტარობა. ბისარსონიუმის იოდიდების კოორდინაციული ნაერთები ვერცხლისწყლის(II) იოდიდთან წარმოადგენენ წვრილკრისტალურ ფიზიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს.